(გაითვალისწინეთ, რომ ქართული თარგმანი მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის და არ გააჩნია იურიდიული ძალა)

NYSE/AMEX ხელმომწერის ხელშეკრულება

DriveWealth, LLC. (შემდგომში, ვენდორი) თანახმაა, უზრუნველყოს საბაზრო მონაცემების თქვენთვის მოწოდება ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ამ ხელშეკრულებაზე დათანხმებით, რომელიც ქვემოთ არის მითითებული, თქვენ (შემდგომში, ხელმომწერი) თანხმობას გამოთქვამთ, შეასრულოთ მისი პირობები. 1-ლ ნაწილში განსაზღვრულია ზოგადი პირობები. მე-2 ნაწილი ეხება იმ ხელმომწერს, რომელიც არაპროფესიონალი ხელმომწერის სტატუსით იღებს და იყენებს საბაზრო მონაცემებს ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

ნაწილი 1: ზოგადი პირობები

1. **საბაზრო მონაცემების განსაზღვრება** - წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მიზნებისთვის, საბაზრო მონაცემები არის (ა) ინფორმაცია ბოლო გაყიდვების და კვოტირების შესახებ, რომელიც ეხება ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე (შემდგომში, NYSE) დაშვებულ ფასიან ქაღალდებს, (ბ) ინფორმაცია ისეთი ობლიგაციების და სხვა აქციების ბოლო გაყიდვების და კვოტირების შესახებ, და ინფორმაცია ისეთი ინდექსების შესახებ და სხვა საბაზრო ინფორმაცია, რომლებიც აშშ-ში რეგისტრირებულმა ფასიანი ქაღალდების ეროვნულმა საფონდო ბირჟებმა და ფასიანი ქაღალდების ეროვნულმა ასოციაციებმა (თითოეული შემდგომში მოიხსენება როგორც ავტორიზაციის გამცემი თვითრეგულირებადი ორგანიზაცია) შეიძლება გახადონ ხელმისაწვდომი და რომელსაც შეიძლება NYSE-მა, დროდადრო, უწოდოს საბაზრო ინფორმაცია; და (გ) ყველა ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი ასეთი ინფორმაციიდან.

2. **მონაცემთა საკუთრების უფლება** - ხელმომწერი აცნობიერებს და აღიარებს, რომ თითოეულ ავტორიზაციის გამცემ თვითრეგულირებად ორგანიზაციას და მონაცემთა სხვა გამავრცელებელს აქვს საკუთრების უფლება საბაზრო მონაცემებზე, რომლებიც წარმოიშვება მის ბაზარზე (ბაზრებზე) ან გამომდინარეობს მისი ბაზრიდან (ბაზრებიდან).

3. **აღსრულება** - ხელმომწერი აცნობიერებს და აღიარებს, რომ (ა) ავტორიზაციის გამცემი თვითრეგულირებადი ორგანიზაციები არიან ბენეფიციარი მესამე მხარეები ამ ხელშეკრულების თანახმად და (ბ) ავტორიზაციის გამცემ თვითრეგულირებად ორგანიზაციებს ან მათ უფლებამოსილ წარმომადგენელს (წარმომადგენლებს) აქვთ უფლება, იურიდიული სამართალწარმოების გზით ან სხვაგვარად აღასრულონ წინამდებარე ხელშეკრულება იმ ხელმომწერის ან ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც იღებს ამ ხელშეკრულების თანახმად ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს ისეთი გზით, რომელსაც ეს ხელშეკრულება არ ითვალისწინებს. ხელმომწერი გადაიხდის ადვოკატის იმ გონივრულ

ხარჯებს, რომლებიც გაიღო ნებისმიერმა ავტორიზაციის გამცემმა თვითრეგულირებადმა ორგანიზაციამ ხელმომწერის მიმართ ამ ხელშეკრულების აღსრულების მიზნით.

4. **მონაცემები არ არის გარანტირებული** - ხელმომწერი აცნობიერებს, რომ ავტორიზაციის გამცემი თვითრეგულირებადი არცერთი ორგანიზაცია, სხვა არცერთი ორგანიზაცია, რომლის ინფორმაციაც ხელმისაწვდომი ხდება ავტორიზაციის გამცემი თვითრეგულირებადი ორგანიზაციების საშუალებებით (შემდგომში, მონაცემთა სხვა გამავრცელებელი) და ინფორმაციის არცერთი დამმუშავებელი, რომელიც ეხმარება ავტორიზაციის გამცემ თვითრეგულირებად ორგანიზაციას ან მონაცემთა სხვა გამავრცელებელს, რომ მონაცემები ხელმისაწვდომი იყოს (შემდგომში, ერთობლივად, გამავრცელებელი მხარეები), არ იძლევა საბაზრო მონაცემების დროულობის, თანმიმდევრობის, სიზუსტისა და სისრულის გარანტიას ან ნებისმიერი გამავრცელებელი მხარის მიერ გავრცელებული სხვა საბაზრო ინფორმაციის თუ გზავნილის დროულობის, თანმიმდევრობის, სიზუსტისა და სისრულის გარანტიას. არც ხელმომწერი და არც ნებისმიერი სხვა პირი არ აკისრებს რაიმე სახის პასუხიმგებლობას გამავრცელებელ მხარეს იმის გამო, რომ (ა) ადგილი ჰქონდა უზუსტობას, შეცდომას ან დაგვიანებას, ანდა გამოტოვებას (i) ნებისმიერ ასეთ მონაცემში, ინფორმაციასა ან გზავნილში ანდა (ii) ნებისმიერი ასეთი მონაცემის გადაცემასა ან მიწოდებაში, ანდა (ბ) წარმოიშვა დანაკარგი ან ზარალი (i) რომელიმე ასეთი უზუსტობის, შეცდომის, დაგვიანების ან გამოტოვების, (ii) შეუსრულებლობის ან (iii) ასეთი მონაცემის, ინფორმაციის ან გზავნილის შეწყვეტის გამო, რაც გამოწვეული იყო გამავრცელებელი მხარის დაუდევრობის ან გამოტოვების შედეგად, ასევე „ფორს მაჟორის“ შედეგად (მაგალითად, წყალდიდობა, ამინდის უჩვეულო პირობები, მიწისძვრა ან სხვა ბუნებრივი მოვლენა, ხანძარი, ომი, ამბოხება, არეულობა, შრომითი დავა, ავარია, ხელისუფლების ქმედება, კომუნიკაციების ან ელექტროენერგიის გათიშვა, აღჭურვილობის ან კომპიუტერული პროგრამის გაუმართაობა) ანდა სხვა ისეთი მიზეზით, რომელიც გამავრცელებელი მხარის კონტროლის მიღმაა.

5. **ნებადართული გამოყენება** - ხელმომწერმა არ უნდა მიაწოდოს საბაზრო მონაცემები არცერთ სხვა პირს ან ორგანიზაციას. თუ ხელმომწერი იღებს საბაზრო მონაცემებს არაპროფესიონალი ხელმომწერისგან განსხვავებული სტატუსით, მან საბაზრო მონაცემები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ინდივიდუალური მოხმარებისთვის მის საქმიანობაში.

6. **გავრცელების შეწყვეტა ან მოდიფიცირება** - ხელმომწერი აცნობიერებს და აღიარებს, რომ ავტორიზაციის გამცემ თვითრეგულირებად ორგანიზაციებს აქვთ უფლება, ნებისმიერ დროს, შეწყვიტონ ნებისმიერი კატეგორიის საბაზრო მონაცემების გავრცელება, შეცვალონ ან გააუქმონ გავრცელების ნებისმიერი მეთოდი და შეცვალონ გავრცელების სიჩქარე ანდა სიგნალის სხვა მახასიათებლები. ავტორიზაციის გამცემი თვითრეგულირებადი ორგანიზაციები არ იქნებიან პასუხისმგებლები რაიმე ვალდებულებაზე, დანაკარგსა ან ზარალზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ზემოთქმულის შედეგად.

7. **ხანგრძლივობა; იურიდიული ძალის შენარჩუნება შეწყვეტის შემდეგ** - წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მანამ, სანამ ხელმომწერს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს საბაზრო

მონაცემები ამ ხელშეკრულების შესაბამისად. გარდა ამისა, ვენდორს აქვს უფლება ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ავტორიზაციის გამცემი თვითრეგულირებადი ორგანიზაციების მითითებით ან სხვაგვარად. მე-2, მე-3 და მე-4 პარაგრაფები და მე-8 პარაგრაფის პირველი 2 წინადადება ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

8. **ხვადასხვა** - ეს ხელშეკრულება რეგულირდება ნიუ-იორკის შტატის კანონებით და მისი ინტერპრეტირება უნდა მოხდეს იმ კანონების შესაბამისად. ამ ხელშეკრულებაზე ვრცელდება 1934 წლის კანონი „ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟის შესახებ“, წესები, რომლებიც ამ კანონის თანახმად არის ამოქმედებული და ინდუსტრიის ერთობლივი გეგმები, რომლებიც გაფორმებულია აღნიშნული კანონის თანახმად. ეს დოკუმენტი მოიცავს მთლიან ხელშეკრულებას მხარეებს შორის მის საგანთან დაკავშირებით. ხელმომწერს არა აქვს უფლება, გადასცეს ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირს. პირი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებას ეთანხმება, აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ ის უფლებამოსილი და ქმედუნარიანია, გააფორმოს ხელშეკრულება და თუ ეს პირი ეთანხმება ხელშეკრულებას მესაკუთრის ანდა ბიზნესის, პარტნიორობის ან სხვა ორგანიზაციის სახელით, ის აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მას აქვს რეალური უფლებამოსილება, დააკისროს ვალდებულებები ორგანიზაციას.

მიღება და თანხმობა: მე, ხელმომწერი, რომელსაც წინამდებარე პირობები ეხება, ვაცხადებ, რომ გავეცანი წინამდებარე 1-ლი ნაწილის პირობებს, გავაცნობიერე ისინი და ვადასტურებ ჩემს თანხმობას ამ პირობებზე და მათ შესრულებაზე ქვემოთ ნაჩვენებ უჯრაზე დაწკაპუნების გზით:

ნაწილი 2: არაპროფესიონალი ხელმომწერი

9. **არაპროფესიონალი ხელმომწერის განსაზღვრება** - არაპროფესიონალი ხელმომწერი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც იღებს საბაზრო მონაცემებს მხოლოდ და მხოლოდ პირადი/არასაქმიანი გამოყენებისთვის და რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდების პროფესიონალი. ფასიანი ქაღალდების პროფესიონალი ნიშნავს ინდივიდს, ვინც, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშაობს, არის:

ა. რეგისტრირებული ან კვალიფიცირებული „ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟების კომისიაში“ (SEC), „სასაქონლო ფიუჩერსების სავაჭრო კომისიაში“, რომელიმე ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო სააგენტოში, ფასიანი ქაღალდების ბირჟასა ან ასოციაციაში ანდა რომელიმე სასაქონლო ან ფიუჩერსული კონტრაქტების ბაზარზე ან ასოციაციაში;

ბ. ასრულებს „საინვესტიციო კონსულტანტის“ ფუნქციას, ამ ტერმინის იმ მნიშვნელობით, რომელიც განსაზღვრულია 1940 წლის კანონის „საინვესტიციო კონსულტანტების შესახებ“ 202(ა)(11) მუხლში (მიუხედავად იმისა, არის თუ არა რეგისტრირებული ან კვალიფიცირებული ამ კანონის შესაბამისად); ანდა

გ. დაქირავებული ჰყავს ბანკს ან სხვა ისეთი ორგანიზაციას, რომელიც გათავისუფლებულია რეგისტრაციისგან ფასიანი ქაღალდების შესახებ ფედერალური ან სახელმწიფო კანონებით, ისეთი ფუნქციების შესასრულებლად, რაც მოითხოვს მის ასეთ რეგისტრირებას ან კვალიფიცირებას თუ ის ასრულებს ასეთ ფუნქციებს ისეთი ორგანიზაციისთვის, რომელიც არ არის ამგვარად გათავისუფლებული.

აშშ-ის ფარგლებს გარეთ მომუშავე პირი ჩაითვლება ფასიანი ქაღალდების პროფესიონალად, თუ ის ასრულებს იმავე ფუნქციებს, რასაც შეასრულებდა ინდივიდი, რომელიც აშშ-ში ითვლება ფასიანი ქაღალდების პროფესიონალად.

ხელმომწერმა შესაძლოა არ მიიღოს საბაზრო მონაცემები როგორც არაპროფესიონალმა ხელმომწერმა, სანამ ხელმომწერისთვის ასეთი მონაცემების მიმწოდებელი ვენდორი არ დაადგენს, რომ ეს კონკრეტული ინდივიდი შეესაბამება არაპროფესიონალი ხელმომწერის განსაზღვრებას, რომელიც მე-9 პარაგრაფშია მოცემული.

10. **ნებადართული მიღება** - ხელმომწერმა შესაძლოა არ მიიღოს საბაზრო მონაცემები ვენდორისგან, როგორც არაპროფესიონალმა ხელმომწერმა, ხოლო ვენდორმა შეიძლება არ მიაწოდოს საბაზრო მონაცემები ხელმომწერს როგორც არაპროფესიონალ ხელმომწერს, სანამ ვენდორი სათანადოდ არ დაადგენს, რომ ხელმომწერი კვალიფიცირდება არაპროფესიონალ ხელმომწერად იმ განსაზღვრების შესაბამისად, რომელიც მოცემულია მე-9 პარაგრაფში და ხელმომწერი, ფაქტობრივად, კვალიფიცირებულია არაპროფესიონალ ხელმომწერად.

11. **ნებადართული გამოყენება** - თუ ხელმომწერი არაპროფესიონალი ხელმომწერია, ის მიიღებს საბაზრო მონაცემებს მხოლოდ არასაქმიანი, ინდივიდუალური მოხმარებისთვის.

12. **პირადი და დასაქმების მონაცემები** - როგორც არაპროფესიონალ ხელმომწერად კვალიფიცირების წინაპირობა, ხელმომწერმა უნდა წარადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ხელმომწერის სახელი, გვარი და მისამართი:

ხელმომწერის საქმიანობები (ჩამოთვალეთ ყველა საქმიანობა, მათ შორის დიასახლისი, სტუდენტი, პენსიონერი, სხვა):

ხელმომწერის დამსაქმებლის (დამსაქმებლების) სახელი (სახელები), გვარი (გვარები) და მისამართი (მისამართები):

ხელმომწერის სტატუსი (სტატუსები) და/ან პოზიცია (პოზიციები):

ხელმომწერის სამუშაო ფუნქციები (აღწერა):

იმისთვის, რომ გაადვილდეს გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, კვალიფიცირდება თუ არა ხელმომწერი არაპროფესიონალ ხელმომწერად, ხელმომწერის პასუხები ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე უნდა იყოს „არა“:

ა. იყენებთ საბაზრო მონაცემებს არაპერსონალური, საქმიანი მოხმარებისთვის?

☐ დიახ ☐ არა

ბ. თქვენი ბიზნესისთვის იღებთ საბაზრო მონაცემებს თუ სხვა ორგანიზაციისთვის?

☐ დიახ ☐ არა

გ. ხართ ამჟამად რეგისტრირებული ან კვალიფიცირებული „ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟების კომისიაში“ ან „სასაქონლო ფიუჩერსების სავაჭრო კომისიაში“?

☐ დიახ ☐ არა

დ. ხომ არ ხართ ამჟამად რეგისტრირებული ან კვალიფიცირებული რომელიმე ფასიანი ქაღალდების სააგენტოში, ფასიანი ქაღალდების ბირჟასა ან ასოციაციაში თუ მარეგულირებელ სააგენტოში ანდა რომელიმე სასაქონლო ან ფიუჩერსული კონტრაქტების ბაზარზე, ასოციაციაში ან მარეგულირებელ სააგენტოში შეერთებულ შტატებში ან სხვა ქვეყანაში?

☐ დიახ ☐ არა

ე. განურჩევლად იმისა, შეერთებულ შტატებში ხართ თუ მის ფარგლებს გარეთ, ხომ არ ასრულებთ რაიმე ისეთ ფუნქციას, რომელიც ანალოგიურია იმ ფუნქციებისა, რაც მოითხოვს ინდივიდისგან, იყოს რეგისტრირებული ან კვალიფიცირებული „ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟების კომისიაში“, „სასაქონლო ფიუჩერსების სავაჭრო კომისიაში“, ნებისმიერ სხვა ფასიანი ქაღალდების სააგენტოში ან მარეგულირებელ სააგენტოში, რომელიმე ფასიანი ქაღალდების ბირჟასა ან ასოციაციაში, ანდა რომელიმე სასაქონლო ან ფიუჩერსული კონტრაქტების ბაზარზე, ასოციაციაში ან მარეგულირებელ სააგენტოში?

☐ დიახ ☐ არა

ვ. ხომ არ უწევთ საინვესტიციო კონსულტაციას რომელიმე ინდივიდს ან ორგანიზაციას?

☐ დიახ ☐ არა

ზ. ხომ არ მუშაობთ აქტივების მენეჯერად?

☐ დიახ ☐ არა

თ. ხომ არ იყენებთ რომელიმე სხვა ინდივიდის ან ორგანიზაციის კაპიტალს თქვენი კომერციული ოპერაციების წარმართვაში?

☐ დიახ ☐ არა

ი. ხომ არ ახორციელებთ სავაჭრო საქმიანობას რომელიმე კორპორაციის, პარტნიორობის ან სხვა ორგანიზაციის სასარგებლოდ?

☐ დიახ ☐ არა

კ. ხომ არ დაგიდიათ რაიმე ხელშეკრულება თქვენი სავაჭრო საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილებაზე ან სავაჭრო საქმიანობისთვის კომპენსაციის მიღებაზე?

☐ დიახ ☐ არა

ლ. ხომ არ იღებთ საოფისე ფართს და აღჭურვილობას ან რაიმე სხვა სარგებელს თქვენი სავაჭრო საქმიანობის სანაცვლოდ ანდა რომელიმე პირის, ფირმის ან ბიზნეს ორგანიზაციისთვის ფინანსურ კონსულტანტად მუშაობის სანაცვლოდ?

☐ დიახ ☐ არა

ხელმომწერმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ვენდორს ნებისმიერი ისეთი ცვლილება მის მდგომარეობაში, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მისი როგორც არაპროფესიონალი ხელმომწერის დეკვალიფიკაცია.

13. **დასტური** - წინამდებარე ხელშეკრულებაზე დათანხმებით ხელმომწერი ადასტურებს, რომ ის შეესაბამება არაპროფესიონალი ხელმომწერის განსაზღვრებას, რომელიც მე-9 პარაგრაფშია მოცემული და რომ მის მიერ მე-12 პარაგრაფში მოცემული პირადი და დასაქმების ინფორმაცია წარმოადგენს სიმართლეს და არის უტყუარი.

მიღება და თანხმობა: მე, ხელმომწერი, რომელსაც წინამდებარე პირობები ეხება, ვაცხადებ, რომ გავეცანი წინამდებარე მე-2 ნაწილის პირობებს, გავაცნობიერე ისინი და ამ პირობებზე და მათ შესრულებაზე ჩემს თანხმობას ვადასტურებ ქვემოთ ნაჩვენებ უჯრაზე დაწკაპუნების გზით: